USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი,სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №31
აპრილი, 2022

თბილისი, 2022

ხელმძღვანელი:

ნანუკა ყრუაშვილი

ავტორი:

ლიკა ჩხეტიანი

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო პროექტის „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში" იმპლემენტაცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ამჟამად წარმოგიდგენთ №31 ბიულეტენს, სადაც აღწერილია აპრილში განვითარებული ის მოვლენები, რომლებმაც გავლენა მოახდინა პოლიტიკურ გარემოზე.

I. შუალედური არჩევნები ბათუმსა და რუსთავში

2022 წლის 2 აპრილს ბათუმსა და რუსთავში შუალედური არჩევნები გაიმართა.[1] რუსთავისა და გარდაბნის მე-12 მაჟორიტარულ ოლქში საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი წევრი, ხოლო ბათუმის მე-4 ადგილობრივ მაჟორიტარულ ოლქში ბათუმის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი აირჩიეს.[2] რუსთავში სულ სამი კანდიდატი იყო წარმოდგენილი: მამუკა ტუსკაძე (№34) - „სოციალური სამართლიანობისთვის", კამალ მურადხანოვი (№59) – „საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტია" და ირაკლი შატიკაშვილი (№41) - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო".[3] ბათუმში ერთმანეთს ორი კანდიდატი დაუპირისპირდა: მათე ფუტკარაძე (№5) პარტია „ნაციონალური მოძრაობიდან" და რამაზ ჯინჭარაძე (№41) „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოდან".[4]

საბოლოო შედეგების მიხედვით, რუსთავში „ქართული ოცნების" კანდიდატმა ირაკლი შატიკაშვილმა 90.61%-ით გაიმარჯვა,[5] ხოლო ბათუმში 69.04%-ით - ამავე პარტიის კანდიდატმა რამაზ ჯინჭარაძემ.[6]

ბათუმში ახალარჩეული საკრებულოს წევრის, რამაზ ჯინჭარაძის უფლებამოსილების ცნობა აპრილში ვერ მოხერხდა,[7] რადგან 12 აპრილს ბათუმის საკრებულოში „ქართული ოცნების" ინიციატივით მოწვეული საკრებულოს სხდომა კვორუმის არარსებობის გამო ვერ გაიხსნა.[8] სხდომას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის", პარტია „საქართველოსთვის" და „ლელოს" წევრები, ასევე დამოუკიდებელი დეპუტატი არ დაესწრნენ.[9]

ბათუმში შუალედურ არჩევნებს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აკვირდებო-

---

[1] „ბათუმსა და რუსთავში არჩევნები იმართება", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2022 წლის 2 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31782370.html, განახლებულია: 11.05.2022.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე.

[5] „ცესკომ საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების საბოლოო შედეგები შეაჯამა", ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 7 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/39TEGKi, განახლებულია: 11.05.2022.

[6] „ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიამ საკრებულოს 2022 წლის 2 აპრილის შუალედური არჩევნების შედეგები შეაჯამა", ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 8 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3witjV0, განახლებულია: 11.05.2022.

[7] ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს Facebook-გვერდი, 2022 წლის 12 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3wjy13A, განახლებულია: 11.05.2022.

[8] იქვე.

[9] ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს Facebook-გვერდი, 2022 წლის 12 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3wjy13A, განახლებულია: 11.05.2022.

და.[10] **სადამკვირვებლო მისიის შედეგების მიხედვით, კენჭისყრის მიმდინარეობისას გამოვლინდა საარჩევნო უბნის პერიმეტრსა და ამომრჩევლის ნების კონტროლთან დაკავშირებული რეგულაციების დარღვევისა და აგიტაციის შემთხვევები.[11] საერთო ჯამში, საიამ დარღვევების გამო ორჯერ მიმართა პოლიციას, წარადგინა 3 საჩივარი და დააფიქსირა 10-მდე წერილობითი შენიშვნა.[12] შუალედური არჩევნების დეტალურ შეფასებას ორგანიზაცია ანგარიშის სახითაც გამოაქვეყნებს.**

II. ელექტრონული არჩევნები ბათუმის მე-4 მაჟორიტარულ ოლქში

აღსანიშნავია, რომ ბათუმის შუალედური არჩევნების პირველადი წინასწარი შედეგები ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კენჭისყრის პროცესის დასრულებიდან 1 საათში წარადგინა.[13] ეს მონაცემები ბათუმის მე-4 მაჟორიტარულ ოლქში გამოყენებული ელექტრონული ტექნოლოგიების - ამომრჩევლის ვერიფიკაციის, ხმის მიცემისა და ხმის დათვლის აპარატების გამოყენების შედეგად გახდა ხელმისაწვდომი.[14]

29 აპრილს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების შეფასების ანგარიშის პრეზენტაცია გამართა.[15] ცესკოს თავმჯდომარე გიორგი კალანდარიშვილმა საპილოტე რეჟიმში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება წარმატებულად შეაფასა და აღნიშნა, რომ მათ მიმართ ამომრჩევლის განწყობაც დადებითი აღმოჩნდა.[16] კალანდარიშვილის აზრით, პროცესმა ცხადყო, რომ საქართველოში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებას დიდი პერსპექტივა ჰქონდა და სამომავლოდ მათი ფართომასშტაბიანი დანერგვაც განიხილებოდა.[17]

III. მიხეილ სააკაშვილის საქმე

20 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოში საქართველოს მესამე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მის მიერ საზღვრის უკანონოდ კვეთის საქმის განხილვისას სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაყვანა და ექიმის დახმარება მოითხოვა.[18] დარბაზში დაბრუნებისას მან საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ შიმშილობის შეწყვეტის შემდეგ სათანადო რეაბილიტაციის გავლა ვერ შეძლო, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა და ბოლო დღეებში წონაში 12 კგ დაიკლო.[19]

---

[10] „საიას სადამკვირვებლო მისია კენჭისყრის დღეს“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 2 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3yDNGNR, განახლებულია: 11.05.2022.

[11] „2022 წლის ბათუმის საკრებულოს შუალედური არჩევნების კენჭისყრის დღის დაკვირვების შედეგების შეჯამება“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 2 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/39cBEAp, განახლებულია: 11.05.2022.

[12] იქვე.

[13] „ცესკომ შუალედური არჩევნების დასრულებიდან ერთ საათში ბათუმის არჩევნების წინასწარი მონაცემები წარადგინა“, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 2 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3L8NAQX, განახლებულია: 11.05.2022.

[14] იქვე.

[15] „საარჩევნო პროცესებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების ანგარიშის პრეზენტაცია“, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 29 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3MbT66R, განახლებულია: 11.05.2022.

[16] იქვე.

[17] იქვე.

[18] „სასამართლომ პენიტენციურს სააკაშვილის სათანადო მკურნალობა დაავალა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2022 წლის 20 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/486816, განახლებულია: 11.05.2022.

[19] იქვე.

22 აპრილს სახალხო დამცველის მიერ შექმნილი კონსილიუმის წევრებმა მიხეილ სააკაშვილი საპატიმრო დაწესებულებაში მოინახულეს.[20] 27 აპრილს სახალხო დამცველის აპარატმა მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მონიტორინგის შედეგები გამოაქვეყნა.[21] დასკვნის მიხედვით, ბოლო, 11 იანვრის ვიზიტთან შედარებით, მესამე პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა მნიშვნელოვნად იყო გაუარესებული[22] და რეკომენდებული იყო მისთვის ფსიქოთერაპიისა და ფიზიკური რეაბილიტაციის სრულფასოვანი კურსის ჩატარება.[23] ანგარიშში ასევე აღინიშნა, რომ სახალხო დამცველის ექსპერტთა ჯგუფის მიერ მკურნალობის კურსთან დაკავშირებით დეკემბერ-იანვარში გაცემული რეკომენდაციები არ იყო შესრულებული.[24]

29 აპრილს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ გამოქვეყნებული განცხადების მიხედვით, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობას მუდმივ მონიტორინგს უწევდნენ და მას ყველა საჭირო მკურნალობას უტარებდნენ.[25] თუმცა, ზოგჯერ, ექიმების რეკომენდაციის მიუხედავად, მესამე პრეზიდენტი მისთვის განკუთვნილი პრეპარატების ნაწილის მიღებაზე უარს თავად აცხადებდა.[26] პენიტენციური სამსახურის განმარტებით, ნებისმიერი განცხადება, თითქოს მიხეილ სააკაშვილი სათანადო მკურნალობას ვერ იღებდა, სიცრუე იყო და საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ემსახურებოდა.[27]

სახალხო დამცველის სამსახურის დასკვნას პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე გამოეხმაურა.[28] მისი განცხადებით, ვინც მიხეილ სააკაშვილის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გადაყვანას ითხოვდა, მას საქართველოში „ომის გაჩაღება“ სურდა.[29] სახალხო დამცველმა ეს პოლიტიკურ თავდასხმად შეაფასა და აღნიშნა, რომ მის მიერ შერჩეული კონსილიუმის დასკვნის საპასუხოდ „არცერთი კვალიფიციური, კომპეტენტური არგუმენტი“[30] არ გამოთქმულა. მან ხელისუფლებას ურჩია, შეექმნა ექიმების ჯგუფი, რომელიც გადაწყვეტდა, სად და რა ფორმით ემკურნალათ მიხეილ სააკაშვილისთვის.[31] 29 აპრილს პარტია „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ბრიფინგზე განაცხადა, რომ 6 მაისიდან ბათუმში მიხეილ სააკაშვილის უცხოეთში მკურნალობის მოთხოვნით საპროტესტო აქციებს დაიწყებდნენ.[32]

---

[20] „ომბუდსმენის კონსილიუმის წევრებმა მიხეილ სააკაშვილი მოინახულეს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 25 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31819824.html, განახლებულია: 11.05.2022.

[21] საქართველოს სახალხო დამცველის Facebook-გვერდი, 2022 წლის 27 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/photo/?fbid=, განახლებულია: 11.05.2022.

[22] ექიმების შეფასებით, პაციენტის ორგანიზმი ცილოვან შიმშილს განიცდიდა, რაც სისუსტესა და კუნთების განლევას იწვევდა. ასევე, მას აღენიშნებოდა ანორექსია და დეპრესია.
იხ. საქართველოს სახალხო დამცველის Facebook-გვერდი, 2022 წლის 27 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/photo/?fbid=, განახლებულია: 11.05.2022.

[23] იქვე.

[24] „სახალხო დამცველის კონსილიუმი: სააკაშვილს ცილოვანი შიმშილი აქვს, რაც იწვევს კუნთების დაშლას“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 27 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31823520.html, განახლებულია: 11.05.2022.

[25] სპეციალური პენიტენციური სამსახურის Facebook-გვერდი, 2022 წლის 29 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/photo/?fbid, განახლებულია: 11.05.2022.

[26] იქვე.

[27] იქვე.

[28] „ლომჯარია კობახიძეს პასუხობს: ვხედავთ პოლიტიკურ თავდასხმებს, აბსურდულ ბრალდებებს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 28 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31825475.html, განახლებულია: 11.05.2022.

[29] იქვე.

[30] იქვე.

[31] იქვე.

[32] „სააკაშვილის უცხოეთში სამკურნალოდ გადაყვანის მოთხოვნით „ენმ“ ბათუმში აქციებს აანონსებს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 29 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31826887.html, განახლებულია: 11.05.2022.

IV. ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსისთვის თვითშეფასების ოფიციალური კითხვარი

9 აპრილს ევროკავშირის კომისარმა სამეზობლო და გაფართოების საკითხებში ოლივერ ვარჰეიმ "Twitter"-ზე დაწერა, რომ ორშაბათს, 11 აპრილს, საქართველოსა და მოლდოვას ევროკავშირის წევრობის ოფიციალურ კითხვარს წარუდგენდა.[33] 11 აპრილს მან კითხვარი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ილია დარჩიაშვილს ლუქსემბურგში გადასცა,[34] რის შემდეგაც კიდევ ერთი „ტვიტი" გამოაქვეყნა.[35] მან მიუთითა, რომ კითხვარის გადაცემა საქართველოსთვის „ევროპულ გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი" იყო და ევროკომისია მზადყოფნას გამოთქვამდა, დაჩქარებულად ემუშავა, რათა ევროპული საბჭოსთვის მოსაზრება მოკლე დროში წარედგინა.[36] საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, თვითშეფასების კითხვარის გადაცემის შემდეგ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი „თვისობრივად ახალ ეტაპზე" გადავიდა.[37] 11 აპრილს გამართულ პრესკონფერენციაზე პარტია „ქართული ოცნების" თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობა კითხვარის სათანადოდ შევსებას უზრუნველყოფდა.[38]

კითხვარის შევსების პროცესის გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის მიზნით საიამ, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, 14 აპრილს სამუშაო შეხვედრა გამართა პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე მაკა ბოჭორიშვილთან და კომიტეტის წევრებთან.[39] სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა კომიტეტს ევროინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობაზე საკუთარი ხედვები გააცნეს.[40]

კითხვარის გადაცემას გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი.[41] მისი შეფასებით, კითხვარის შევსება ეროვნული ინტერესის საგანს განეკუთვნებოდა და მასში მონაწილეობის მისაღებად „ყველა ძალა" უნდა ყოფილიყო მობილიზებული.[42] ამის პასუხად ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, რომ პროცესში „ნაციონალური მოძრაობის" ჩართვა „კონტრპროდუქტიული" იქნებოდა, რადგან ისინი ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ.[43] მან ასევე განაცხადა, რომ კითხვარის გასაჯაროების შესახებ გადაწყვეტილებას ევროკავშირთან კონსულტაციის შემდეგ მიიღებდნენ.[44]

---

[33] Oliver Varhelyi, Twitter post, 2022 წლის 9 აპრილი, 12:39 PM, ხელმისაწვდომია: https://twitter.com/OliverVarhelyi/status, განახლებულია: 11.05.2022.

[34] „საქართველომ ევროკავშირის წევრობის კითხვარი ჩაიბარა", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2022 წლის 11 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31796999.html, განახლებულია: 11.05.2022.

[35] „საქართველომ ევროკავშირის წევრობის თვითშეფასების კითხვარი მიიღო", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2022 წლის 11 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/485157, განახლებულია: 11.05.2022.

[36] Oliver Varhelyi, Twitter post, 2022 წლის 11 აპრილი, 2:59 PM, ხელმისაწვდომია: https://twitter.com/OliverVarhelyi/status/, განახლებულია: 11.05.2022.

[37] „საქართველომ ევროკავშირის წევრობის კითხვარი ჩაიბარა", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2022 წლის 11 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31796999.html, განახლებულია: 11.05.2022.

[38] „კობახიძე: დარწმუნებული ვართ, საქართველო აუცილებლად გახდება ევროკავშირის წევრი", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2022 წლის 11 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31797567.html, განახლებულია: 11.05.2022.

[39] „ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე და კომიტეტის წევრები არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდნენ", საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 14 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3swNKLs, განახლებულია: 11.05.2022.

[40] იქვე.

[41] „მივიღეთ ევროკავშირისგან კითხვარი, რომელსაც არ ველოდით წლები", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2022 წლის 11 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31797331.html, განახლებულია: 11.05.2022.

[42] იქვე.

[43] „კობახიძე: ევროკავშირის კითხვარის შევსებაში ჩაერთვება ის, ვინც არ უთხრის ქვეყანას ძირს", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2022 წლის 14 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31803095.html, განახლებულია: 11.05.2022.

[44] იქვე.

14 აპრილს საპარლამენტო ოპოზიციის რვა დეპუტატმა[45] ევროკომისარ ოლივერ ვარჰეის წერილით მიმართეს.[46] ისინი ხალხის, პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების მაღალი ინტერესის გათვალისწინებით, მთავრობისგან კითხვარის გასაჯაროებას მოითხოვდნენ. მათი აზრით, საქართველოს ხელისუფლება ამის გაკეთებას თავს არიდებდა და ამბობდა, რომ ამისთვის ევროკავშირის ნებართვა სჭირდებოდა.[47] შესაბამისად, ხელმომწერი დეპუტატები კომისრისგან ამ პროცესში დახმარებას ითხოვდნენ.[48]

15 აპრილს საქართველოს მთავრობამ ევროკავშირის კითხვარის პირველი ნაწილი გაასაჯაროვა.[49] 42-გვერდიანი დოკუმენტი 369 კითხვისგან შედგებოდა,[50] რომლებიც პოლიტიკური და ეკონომიკური კრიტერიუმების მიხედვით იყო გადანაწილებული.[51] პოლიტიკური კრიტერიუმის შემადგენელი კითხვები ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირებასა და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებს შეეხებოდა, ხოლო ეკონომიკური კრიტერიუმი საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობასა და კონკურენტუნარიანობას აფასებდა.[52]

29 აპრილს საქართველოს მთავრობამ გაასაჯაროვა კითხვარის მეორე ნაწილიც.[53] 238-გვერდიანი დოკუმენტი 2300-მდე შეკითხვას მოიცავდა.[54] საქართველოს ევროკავშირის კითხვარის შესავსებად დრო 13 მაისამდე მიეცა.[55] მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, კითხვარის პირველი ნაწილის შევსება უკვე დასრულდა და მას საქართველოში ევროკავშირის ელჩ კარლ ჰარცელს 2 მაისს გადასცემდნენ.[56] მეორე ნაწილიც ასევე დათქმულ დრომდე, 13 მაისამდე გადაეცემოდა ევროკავშირს.[57] საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ილია დარჩიაშვილის განცხადებით, მთავრობა კითხვარზე გაცემული პასუხების გამოქვეყნებისგან თავის შეკავებას აპირებდა, რადგან არსებობდა „საკითხები, რომელთა გასაჯაროება სასურველი და მიზანშეწონილი“ არ იყო.[58]

---

[45] ეს დეპუტატები არიან: არმაზ ახვლედიანი, თეონა აქუბარდია, ანა ბუჩუკური, ხატია დეკანოიძე, თამარ კორძაია, ანა ნაცვლიშვილი, სალომე სამადაშვილი, ხათუნა სამნიძე. იხ. „ოპოზიცია ევროკომისარს დახმარებას სთხოვს საქართველოსთვის გადმოცემული კითხვარის გასაცნობად“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 14 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31803736.html, განახლებულია: 11.05.2022.

[46] იქვე.

[47] „ოპოზიციამ თვითშეფასების კითხვარის თაობაზე ევროკომისარს მიმართა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2022 წლის 15 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/486026, განახლებულია: 11.05.2022.

[48] იქვე.

[49] „მთავრობამ ევროკავშირის თვითშეფასების კითხვარი გამოაქვეყნა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2022 წლის 15 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/486121, განახლებულია: 11.05.2022.

[50] „Questionnaire: Information requested by the European Commission to the Government of Georgia for the preparation of the Opinion on the application of Georgia for membership of the European Union“, 1-ლი ნაწილი, 2022 წლის აპრილი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Ladlk2, განახლებულია: 11.05.2022.

[51] „Questionnaire: Information requested by the European Commission to the Government of Georgia for the preparation of the Opinion on the application of Georgia for membership of the European Union“, 1-ლი ნაწილი, 2022 წლის აპრილი.

[52] „მთავრობამ ევროკავშირის თვითშეფასების კითხვარი გამოაქვეყნა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2022 წლის 15 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/486121, განახლებულია: 11.05.2022.

[53] „საქართველოს მთავრობამ გაასაჯაროვა ევროკომისიის კითხვარის მეორე ნაწილი“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 29 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31827272.html, განახლებულია: 11.05.2022.

[54] „Questionnaire: Information requested by the European Commission to the Government of Georgia for the preparation of the Opinion on the application of Georgia for membership of the European Union“, მე-2 ნაწილი, 2022 წლის აპრილი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3yQzTnt, განახლებულია: 11.05.2022.

[55] „საქართველო ევროკავშირის კითხვარის ნაწილს ორშაბათს წარადგენს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2022 წლის 30 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/488240, განახლებულია: 11.05.2022.

[56] „საქართველოს მთავრობამ გაასაჯაროვა ევროკომისიის კითხვარის მეორე ნაწილი“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 29 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31827272.html, განახლებულია: 11.05.2022.

[57] იქვე.

[58] იქვე.

V. ევროპარლამენტის დელეგაციის ვიზიტი საქართველოში

ევროკავშირის თვითშეფასების კითხვარის გადმოცემის პარალელურად, საქართველოს 10-14 აპრილს ევროპარლამენტის უსაფრთხოებისა და თავდაცვის ქვეკომიტეტის დელეგაცია ეწვია.[59] მის შემადგენლობაში შედიოდნენ: ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის, უსაფრთხოებისა და თავდაცვის ქვეკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლუკას მანდლი (ევროპის სახალხო პარტიის ჯგუფი, ქრისტიან-დემოკრატები), ქვეკომიტეტის წევრები - ოლეკას იუაზასი (სოციალისტებისა და დემოკრატების პროგრესული ალიანსის ჯგუფი), ელენა იონჩევა (სოციალისტებისა და დემოკრატების პროგრესული ალიანსის ჯგუფი) და ევროპარლამენტარი ლარს პატრიკ ბერგი (ევროპელი კონსერვატორებისა და რეფორმისტების ჯგუფი).[60] ევროპარლამენტარები შეხვდნენ საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, თავდაცვის მინისტრსა და პარლამენტის წევრებს როგორც უმრავლესობიდან, ისე ოპოზიციიდან.[61]

11 აპრილს სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ გამართულ პრესკონფერენციაზე ლუკას მანდლი საქართველოსთვის ევროკავშირის კითხვარის გადაცემას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ეს „დასაწყისის დასაწყისი“ იყო.[62] მან საქართველოს პარლამენტს ევროკავშირში ქვეყნის გაწევრიანების პერსპექტივის ხელშეწყობისკენ მოუწოდა.[63] იმავე პრესკონფერენციაზე საქართველოში ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცელმა განაცხადა, რომ ევროკავშირი საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის განაცხადებს უპრეცედენტო სისწრაფით განიხილავდა, რაც ამ პროცესს ისტორიულ მომენტად აქცევდა.[64] ასეთ მოცემულობაში „ბურთი საქართველოს მოედანზე“ იყო და ქვეყანას „რეფორმების დღის წესრიგის გააქტიურებისა“ და „ევროპასა და მსოფლიოში მზადყოფნისთვის“ ყველაფერი უნდა გაეკეთებინა, რათა ეს ისტორიული შანსი გამოეყენებინა.[65]

VI. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ

2022 წლის 12 აპრილს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ ყოველწლიური ანგარიში გამოაქვეყნა.[66] მასში გამოკვეთილია მართლმსაჯულების სფეროში არსებული პრობლემები, მათ შორის, სასამართლო სისტემის შიგნით მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის - „კლანის“ ძალაუფლება და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობის ნაკლებობა.[67] **აღსანიშნავია, რომ მართლმსაჯულების საკითხების განხილვისას**

---

[59] „საქართველოს ეწვევა ევროპარლამენტის უსაფრთხოებისა და თავდაცვის ქვეკომიტეტის დელეგაცია“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 10 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31795538.html, განახლებულია: 11.05.2022.

[60] „ევროპარლამენტარები ქართული ოცნების ლიდერებსა და დეპუტატებს შეხვდნენ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2022 წლის 12 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/485361, განახლებულია: 11.05.2022.

[61] იქვე.

[62] „ლუკას მანდლი მოუწოდებს საქართველოს პარლამენტის წევრებს, ხელი შეუწყონ ევროკავშირში ქვეყნის გაწევრიანების პერსპექტივას“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 11 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31797459.html, განახლებულია: 11.05.2022.

[63] იქვე.

[64] „კარლ ჰარცელი: ახლა ბურთი საქართველოს მოედანზეა. ევროკავშირი მზად არის მხარდაჭერისთვის“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 11 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31797538.html, განახლებულია: 11.05.2022.

[65] იქვე.

[66] „აშშ საქართველოში ადამიანის უფლებების შესახებ კრიტიკულ მოხსენებას აქვეყნებს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2022 წლის 13 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/485861, განახლებულია: 11.05.2022.

[67] „2021 Country Reports on Human Rights Practices: Georgia“, დემოკრატიის, ადამიანის უფლებების და შრომის ბიურო, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, აპრილი, 2022, გვ. 17, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3sv3wXq, განახლებულია: 11.05.2022.

დოკუმენტში არაერთხელ იყო მითითებული საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის კვლევები და განცხადებები.[68]

სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნაში შეფასებული იყო 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებიც.[69] ანგარიშის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ პარტიებს ჰქონდათ საარჩევნო კამპანიის თავისუფალ და კონკურენტულ გარემოში ჩატარების შესაძლებლობა, წინასაარჩევნო პერიოდს ახასიათებდა ძალადობრივი ქმედებების, ამომრჩევლის მოსყიდვის, კანდიდატებსა და ამომრჩეველზე ზეწოლის შემთხვევები.[70] ასევე, ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენებისა და რესურსების არათანაბარი განაწილების შედეგად, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პირველ და მეორე ტურში კიდევ უფრო მეტად იყო ზღვარი წაშლილი მმართველ პარტიასა და ხელისუფლებას შორის.[71]

VII. ეუთო/ოდირის საბოლოო ანგარიში 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესახებ

8 აპრილს გამოქვეყნდა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ოდირი) საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში, რომელშიც შეჯამებულია 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პირველი (2 ოქტომბერი) და მეორე (30 ოქტომბერი) ტურები.[72]

ოდირის ანგარიშის მიხედვით, პოლიტიკურ პარტიებს შესაძლებლობა ჰქონდათ, საარჩევნო კამპანია მეტნაკლებად თავისუფალ და კონკურენტულ გარემოში ეწარმოებინათ, თუმცა საარჩევნო გარემო დააზიანა კანდიდატებზე ზეწოლის, ამომრჩევლის დაშინებისა და მოსყიდვის ფაქტების შესახებ „ფართოდ გავრცელებულმა და თანმიმდევრულმა განცხადებებმა“, ასევე საარჩევნო სუბიექტებს შორის არათანაბარი საასპარეზო პირობების არსებობამ,[73] რაც მოიცავდა მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის ფინანსური რესურსების დისბალანსს, კამპანიის დაფინანსების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მექანიზმების ნაკლებობასა და „ხელისუფლებაში ყოფნით მინიჭებულ შეუსაბამო უპირატესობას“.[74] ამომრჩეველთა მოსყიდვის, დაშინების, ზეწოლის ფაქტების გახშირებული და თანმიმდევრული აღნიშვნა პოლიტიკური პარტიების, ამომრჩევლებისა და საარჩევნო სუბიექტების მიერ ქმნიდა რისკებს, რომ ამომრჩევლებს არ შეეძლოთ ესარგებლათ საარჩევნო ხმის უფლებით „დასჯის შიშის გარეშე“.[75]

გარდა ამისა, წინასაარჩევნო კამპანია მიმდინარეობდა უკიდურესი პოლარიზაციისა და გაჭიანურებული პოლიტიკური კრიზისის ფონზე.[76] ნეგატიური რიტორიკა განსაკუთრებით მწვავე იყო მეორე ტურის დროს.[77]

---

[68] „აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის კრიტიკული შეფასება 2021 წელს საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 14 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3sBUkjR, განახლებულია: 11.05.2022.

[69] „2021 Country Reports on Human Rights Practices: Georgia“, დემოკრატიის, ადამიანის უფლებების და შრომის ბიურო, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, აპრილი, 2022, გვ. 53-54.

[70] იქვე.

[71] იქვე.

[72] „ოდირის საბოლოო ანგარიში 2021 წლის ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2022 წლის 26 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/487428, განახლებულია: 11.05.2022.

[73] „საქართველო - საბოლოო ანგარიში: მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები - 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი“, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, აპრილი, 2022, გვ. 1, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/38urmLT, განახლებულია: 11.05.2022.

[74] იქვე, გვ. 2.

[75] იქვე, გვ. 5.

[76] „საქართველო - საბოლოო ანგარიში: მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები - 2021 წლის 2 და 30 ოქტომბერი“, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, აპრილი, 2022, გვ. 2.

[77] იქვე.

ანგარიშში არჩევნების სამართლებრივი ჩარჩო შეფასებული იყო, როგორც დემოკრატიულად მისი ჩატარებისთვის შესაფერისი, თუმცა კვლავ შეიცავდა ხარვეზებს.[78] ასევე, მიუხედავად 2021 წლის 19 აპრილის შეთანხმების შესაბამისად განხორციელებული ცვლილებებისა, საარჩევნო კანონმდებლობას ისინი სათანადოდ არ შეხებია.[79] გატარებული რეფორმები ასახავდა ეუთო/ოდირის რეკომენდაციების ნაწილს, თუმცა არ ითვალისწინებდა რამდენიმე მნიშვნელოვან მათგანს ხმათა ხელახალი გადათვლის წესის, კამპანიის დაფინანსების გამჭვირვალობის დამატებით უზრუნველყოფისა და ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით.[80] ასევე, კვლავ გასათვალისწინებელი იყო რეკომენდაციები საჩივრის შეტანის უფლებამოსილების გაფართოებისა და ეფექტიანი გამოძიების ჩატარების შესახებ.[81]

რაც შეეხება უშუალოდ კენჭისყრის გარემოს, ანგარიშის მიხედვით, არჩევნების ორივე ტური, მიუხედავად ხმათა დათვლის დროს დაფიქსირებული ხარვეზებისა, გამართულად იყო ადმინისტრირებული.[82] ხმის მიცემის პროცესმა „მოწესრიგებულად და გამჭვირვალედ"[83] ჩაიარა, თუმცა პრობლემური იყო საარჩევნო უბნების გარშემო პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისა და ადამიანთა ჯგუფების მობილიზება, რომლებიც „პოტენციურად ამომრჩევლებზე ზეგავლენას ახდენდნენ".[84]

აღსანიშნავია, რომ დოკუმენტში პრობლემურად იყო მიჩნეული საარჩევნო პროცესებში ქალთა არათანაბარი მონაწილეობა. მასში ნათქვამია, რომ ეს ფაქტი ქალთა წარმომადგენლობის გასაზრდელად დამატებითი ვალდებულებების აღების საჭიროებაზე მიუთითებდა.[85]

VIII. საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის საზოგადოებრივი აზრის კვლევა

27 აპრილს გამოქვეყნდა საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) საზოგადოებრივი აზრის კვლევა,[86] რომელიც 2022 წლის 4-24 მარტის პერიოდში მოსახლეობაში ჩატარებული გამოკითხვის შედეგებს ასახავდა.[87]

კვლევის მიხედვით, 2021 წელთან შედარებით, 77%-იდან 64%-მდე შემცირდა იმ მოქალაქეების მაჩვენებელი, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ დემოკრატია საქართველოსთვის მმართველობის საუკეთესო ფორმაა.[88] ამასთანავე, 45%-იდან 53%-მდე გაიზარდა იმ რესპონდენტების წილი, რომლებიც მეტნაკლებად კმაყოფილები იყვნენ საქართველოს დემოკრატიული განვითარებით.[89]

IRI-ის კვლევამ წარმოაჩინა მოსახლეობის დამოკიდებულება არჩევნებისა და პოლიტიკური პარტიების მიმართ. გამოკითხულთა 32% 2021 წლის ადგილობრივი მუნიციპალიტეტის არჩევნებს სრულად თავისუფლად და სამართლიანად მიიჩნევდა. 25%-მა გარკვეულ პრობლემებზე მიუთითა, თუმცა, საბოლოო ჯამში, შეაფასა, როგორც მნიშვნელოვანწილად თავისუფალი და სამართლია-

[78] იქვე.
[79] იქვე, გვ. 3.
[80] იქვე.
[81] იქვე, გვ. 7.
[82] იქვე, გვ. 2.
[83] იქვე.
[84] იქვე.
[85] იქვე.
[86] „საზოგადოების განწყობები ეკონომიკაზე, დემოკრატიასა და კოვიდ-19-თან გამკლავებაზე", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2022 წლის 29 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/488106, განახლებულია: 11.05.2022.
[87] იქვე.
[88] იქვე.
[89] იქვე.

ნი.[90] 54% ცენტრალურ საარჩევნო კომისიას სრულად ან ნაწილობრივ ენდობოდა.[91] 23%-მა განაცხადა, რომ არ ენდობოდა პოლიტიკურ პარტიებს, ხოლო 53%-ს მათ მიმართ არც ნდობა გააჩნდა და არც უნდობლობა.[92] 31% მიიჩნევდა, რომ არცერთი პოლიტიკური პარტია მის ინტერესებს არ გამოხატავდა.[93] გამოკითხულთა 71%-ის აზრით, ქვეყანა მეტი პოლარიზაციისკენ მიიწევდა.[94] 74% სრულად უჭერდა მხარს ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანებას.[95]

IX. Freedom House-ის ანგარიში გარდამავალ ეტაპზე მყოფი სახელმწიფოების შესახებ

20 აპრილს Freedom House-მა გამოაქვეყნა ანგარიში „გარდამავალ ეტაპზე მყოფი სახელმწიფოები - 2022".[96] დოკუმენტში შეფასებულია ევროპისა და ევრაზიის 27-მდე პოსტკომუნისტურ სახელმწიფოში დემოკრატიზაციის პროცესის მიმდინარეობა.[97] ანგარიშის მიხედვით, საქართველოში დემოკრატიის ხარისხი, 2021 წელთან შედარებით, შემცირებულია.[98] ამ მაჩვენებლით ქვეყანა „ნაცრისფერ ზონაში" მყოფ „ჰიბრიდულ რეჟიმებსაა" მიკუთვნებული.[99]

საქართველოს დემოკრატიის ინდექსის გაუარესება რამდენიმე კომპონენტში უარყოფითი ცვლილებით იყო განპირობებული. ეს კომპონენტებია: ეროვნული დემოკრატიული მმართველობა (2.50-იდან 2.25-მდე შემცირდა),[100] სამოქალაქო საზოგადოება (4.25-იდან 4.00-მდე შემცირდა)[101] და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა (2.75 ქულიდან 2.50-მდე გაუარესდა).[102] Freedom House-ის განმარტებით, ეროვნული დემოკრატიული მმართველობის მაჩვენებლის შემცირება განაპირობა 19 აპრილის შეთანხმების ჩაშლამ და ხანგრძლივმა პოლიტიკურმა კრიზისმა; სამოქალაქო საზოგადოების ქულის შემცირება - 2021 წლის ივლისის მოვლენებზე პასუხისმგებელი ძალადობრივი ულტრამემარჯვენე ჯგუფების ჩამოყალიბებისთვის შემწყნარებლური გარემოს არსებობამ, ხოლო სასამართლოს დამოუკიდებლობის ქულის გაუარესება - დემოკრატიული რეფორმების განუხორციელებლობამ, ხანგრძლივმა კრიზისმა და სისტემის პოლიტიზებამ.[103]

---

[90] „Public Opinion Survey Residents of Georgia", საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი, მარტი, 2022, გვ. 20, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3FGdjiB, განახლებულია: 11.05.2022.

[91] იქვე.

[92] იქვე, გვ. 30.

[93] „IRI: მოსახლეობის 31% თვლის, რომ არცერთი პარტია არ გამოხატავს მის ინტერესებს", საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება", 2022 წლის 27 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31824038.html, განახლებულია: 11.05.2022.

[94] „Public Opinion Survey Residents of Georgia", საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი, მარტი, 2022, გვ. 45.

[95] იქვე, გვ. 80.

[96] შეფასებისთვის 1-იდან 7-მდე ქულობრივი შკალა იყო გამოყენებული, სადაც 7 ყველაზე მაღალ ქულას ნიშნავდა. იხ. „Freedom House-ის კვლევის თანახმად, საქართველოს დემოკრატიულობის მაჩვენებელი უარესდება", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2022 წლის 21 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/486947, განახლებულია: 11.05.2022.

[97] იქვე.

[98] 3.18 ქულიდან 3.07 ქულამდე შემცირდა.
იხ. „Nations in Transit: From Democratic Decline to Authoritarian Aggression", Freedom House, 2022, გვ. 22, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37Ka9hk, განახლებულია: 11.05.2022.

[99] იქვე, გვ. 24.

[100] Nations in Transit: From Democratic Decline to Authoritarian Aggression", Freedom House, 2022, გვ. 22.

[101] იქვე.

[102] "Country: Georgia, 2022", Freedom House-ის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3wpURGT, განახლებულია: 11.05.2022.

[103] იქვე.